

შპს „ქრიზოლითი +” აკრედიტირებული

A ტიპის ინსპექტირების ორგანო

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ხს ხელმომწერი

GAC-IB-0301

ადასტურებს, რომ

შპს "ქრიზოლითი +"-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მდებარე: ქ. თბილისი, ს. ცინცაძის №11;

შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტაციის სფერო მოცემულია აკრედიტაციის მოწმობის დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
10 სექტემბერი 2020 წ.

ძალაშია
10 სექტემბერი 2024 წ.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

დამკვეთი: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“

ქრიზოლითი +	**შპს „ქრიზოლითი +“** **A-ტიპის ინსპექტირების ორგანო** თბილისი 0105, შ. დადიანის ქ. №24ა (იურიდიული) თბილისი, ს. ცინცაძის ქ. №11 (ფაქტიური) ელ.ფოსტა: khrizolitiplus@gmail.com	GAC-IB-0301 სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013
A-ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტირებული სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013. აკრედიტაციის მოწმობა GAC-IB-0301		

ინსპექტირების ანგარიში/ექსპერტიზის დასკვნა №-QRT/IB-A4-23-88
(კონსტრუქციული ნაწილი)

1. **შედგენის თარიღი:** 07.04.2023წ.

2. **შევადგინე ინსპექტორმა/ექსპერტმა :** ბადრი ბარბაქაძე, ინჟინერ მშენებელი, 40 წლიანი სტაჟი, კონსტრუქტორი.

3. **განაცხადი:** QRT/IB-A4-88, 03.04.2023 წ.
   ხელშეკრულება: QRT/IB-88, 03.04.2023 წ.

4. **დამკვეთის დასახელება:** შპს „კონსტრუქტორი+“;

5. **ინსპექტირების ობიექტის დასახელება:** ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.009.523) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მოწყობა (კორპუსი #2).

6. **ინსპექტირების ამოცანა:** ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.009.523) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მოწყობის (კორპუსი #2) სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება /ესპერტიზა;

7. **გაფრთხილებული ვარ ჩემს უფლება-მოვალეობებზე, საქ. სსკ 370 მუხლით გათვალისწინებული მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე ინსპექტირების მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და კონფიდენციალურობის მოთხოვნებზე, რაზედაც ხელს ვაწერ:**

ინსპექტორი/ექსპერტი: /ბ. ბარბაქაძე/

შპს ქრიზოლითი + 404474085 KHRIZOLIT+ LTD

8. წარმოდგენილი დოკუმენტები:

თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.009.523) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მოწყობის (კორპუსი #2) სამუშაოების მუშა პროექტი - გრაფიკული ნაწილი (შემსრულებელი - შპს „კონსტრუქტორი+“, დირექტორი ნ. მუმლაძე, კონსტრუქტორი ნ. მუმლაძე).
წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაზე და მასში მოყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა დამოწმებულია დირექტორის - ნ. მუმლაძის ხელმოწერით და შპს „კონსტრუქტორი+“-ს ბეჭდით.

9. ინსპექტირების კვლევითი ნაწილი:

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.009.523) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მოწყობის პროექტი (კორპუსი #2).
საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი 01. 72.14.009.523).
სეისმიური დარაიონების მიხედვით სამშენებლო ტერიტორია იმყოფება 8 ბალიან ზონაში. ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85.0 კგძ/მ^2, თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ^2.
ექსპერტიზაზე წარმოდგენილია პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის ნახაზები (92 ფურცელი);
დაპროექტებული კორპუსი წარმოადგენს მართკუთხა ფორმის 8 სართულიან (+სარდაფის სართული) შენობას, გეგმაში ზომებით 36.3 მ x 30.0 მ. სარდაფის სართულის სიმაღლეა 3.30 მ, პირველი და მეორე სართულების - 3.65 მ, ტიპიური სართულის - 3.10 მ. შენობის საანგარიშო სქემად მიღებულია ხისტკვანძებიანი მონოლითური რკინა-ბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი კარკასი, სადაც ძირითად მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს მონოლითური საძირკვლები, მონოლითური კოლონები, მონოლითური სიხისტის დიაფრაგმები და მონოლითური წიბოვანი (რიგელებიანი და ფარულრიგელებიანი) გადახურვები.
სამშენებლო ტერიტორიის ახალი დაზუსტებული გეოლოგიური კვლევის საფუძველზე დაპროექტებული შენობის ფუნდირების ნაწილში, შეტანილი იქნა ცვლილებები, რამაც ასახვა ჰპოვა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის წარმოდგენილ კორექტირებულ ვარიანტში.
კერძოდ, შენობის დაფუძნება ნაცვლად ხიმინჯებზე დაყრდნობილი ფილა-როსტვერკისა, ხდება დაყრდნობილ მონოლითურ რკინა-ბეტონის ფილაზე.

შპს ქრიზოლიტი+ 404474085 KHRIZOLIT+ LTD

შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციები:

1. საძირკვლები: საძირკვლის ტიპად მიღებულია 0.9 მ. სისქის მონოლითური რკინა-ბეტონის ფილა, რომელიც დაყრდნობილია ხელოვნურ გრუნტზე (შრეობრივად დატკეპნილი მდინარეული ბალასტი სისქით 2.5 მ), ხელოვნური გრუნტი კი თავისთავად ეყრდნობა კენჭნარ გრუნტზე ქვიშნარის შემავსებლით, საანგარიშო წინაღობით 4.5 კგძ/სმ²;
2. კოლონები (პილონები): კოლონები და პილონები სარდაფში, პირველ და მეორე სართულებზე მართკუთხა კვეთებისაა, სხვადასხვა ზომებით - 400x600 მმ, 400x800 მმ, 400x1300 მმ, ხოლო ტიპიურ სართულზე ოთხკუთხა და მართკუთხა კვეთებისაა, ზომებით 400x400 მმ და 400x600 მმ.
3. სიხისტის დიაფრაგმები: სიხისტის დიაფრაგმები წარმოდგენილია მონოლითური კედლების სახით, სისქით 300 მმ.
4. სარდაფის შემომსაზღვრელი კედლები: სარდაფის კედლები მონოლითურია, სისქით 220 მმ.
5. გადახურვები: გადახურვები 4.20 მ ნიშნულის ჩათვლით წარმოდგენილია მონოლითური წიბოვანი (რიგელებიანი) ფილის სახით, სადაც ფილის სისქეა 220 მმ, რიგელების კვეთია 400x500 მმ, ფილის სისქის ჩათვლით, ხოლო 7.20 მ ნიშნულიდან ზემოთ წარმოდგენილია მონოლითური წიბოვანი (რიგელებიანი განაპირა ღერძებზე და ფარულრიგელებიანი შიგა ღერძებზე) ფილის სახით, სადაც ფილის სისქეა 240 მმ და განაპირა ღერძების რიგელების კვეთია 400x500 მმ, ფილის სისქის ჩათვლით.
6. კიბეები: კიბეები მონოლითური რკინა-ბეტონისაა, მუშა კვეთის სისქით 200 მმ.
7. კედლები: შენობის შემომზღუდავი კედლების მასალად, პროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია წვრილი ბლოკების თვითმზიდი წყობა, სისქით 200 მმ, რომლის სიხისტე კარკასის მუშაობაში გათვალისწინებული არ არის.

რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი, B240b და B500b კლასის არმატურა.
შენობის მზიდი კონსტრუქციები გაანგარიშებულია მუდმივი და დროებითი დატვირთვების ძირითად და განსაკუთრებულ თანწყობაზე, კომპიუტერული პროგრამის, „LIRA-SAPR-2016“-ს გამოყენებით. მზიდი კონსტრუქციები დაპროექტებულია ანგარიშების შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით და აკმაყოფილებენ სიმტკიცის და მდგრადობის ნორმებით წაყენებულ მოთხოვნებს.
პროექტი დამუშავებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით. ინსპექტირების პროცესში ჩემს მიერ გამოვლენილი შენიშვნები იქნა გათვალისწინებული იქნა შემსრულებელ კონსტრუქტორის მიერ შესწორდა და პროექტი წარმოდგენილია ახალი რედაქციით.

10. გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743 2008 წლის 25 აგვისტო, ქ. თბილისში დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია“;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისში სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01,01-09);
3. QRT/IB-7.1-01 ინსპექტირების პროცედურები.

დ ა ს კ ვ ნ ა

შპს „კონსტრუქტორი+“-ს მიერ შესრულებულ, ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.009.523) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მოწყობის პროექტში შემავალი #2 კორპუსის საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირებულ კონსტრუქციულ ნაწილს, ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი/ექსპერტი: ბ. ბარბაქაძე

ტექნიკური წესით გადაამოწმა
ტექნიკურმა მენეჯერმა: მ. ქართველიშვილი

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელმა: მ. ახვლედიანი

ინსპექტირების დაწყების თარიღი: 03.04.2023 წ.
ინსპექტირების დამთავრების თარიღი: 07.04.2023 წ.

ბ. ბ.